

შინაარსი	
ენა.....	5
ენა-შუამავალი.....	6
ენათშორისი თარგმანი	6
ენათშორისი კომუნიკაცია	6
ენათშორისი სინონიმია.....	7
ადეკვატური თარგმანი	7
ადეკვატური შენაცვლება.....	7
ავტორის უფლება.....	7
ამოსავალი ტექსტი.....	7
ანალოგია თარგმანი.....	7
ანტონიმური თარგმანი	7
არაეკვივალენტური კონსტრუქციები	8
არასრული თარგმნადობა	8
დამოუკიდებელი თარგმანი.....	8
დოკუმენტების (საქმიანი, კომერციული, დიპლომატიური) თარგმანი	8
დოკუმენტური თარგმანი	8
დომინანტური ენა	8
ექსპრესიული ლექსიკის თარგმნა.....	8
ზეთარგმანი.....	9
ზეპირად თარგმნა	9
თარგმანის ნიშნობრივი ხერხი.....	12
თარგმნის პრაგმატიკა.....	12
თარგმნის პრაგმატული ასპექტი	12
თარგმნის შედეგების შეფასება	12
თარგმნის ხელოვნება	13
თარგმნის ხერხი	13
თარგმნა.....	13
თარგმნა კომპიუტერის დახმარებით.....	13

თარგმნადობა	13
თარგმნის ერთეული.....	13
კალკირება.....	14
კინო/ვიდეო მასალის თარგმნა	14
სინქრონული თარგმანი (ბერძნ. syn - ერთად, chronos - დრო)	14
სინქრონულად თარგმნა.....	14
სიტყვასიტყვით თარგმნა (გადმოცემა).....	14
„მთარგმნელთა ქარტია“	15
მთარგმნელი.....	15
მთარგმნელის ამოცანა.....	15
მთარგმნელის ანალიტიკურ-ინტეგრაციული საქმიანობა.....	15
მთარგმნელის ცრუ მეგობრები	15
მიკროლინგვისტიკა.....	16
„მიმართვის“ ტიპის ტექსტი და მისი თარგმნის ნორმები.....	16
წკარედი.....	16
რემის თარგმნა	16
რეფერირება.....	17
რთული შენაცვლება მნიშვნელობის დიფერენციაციით	17
რეალისური მეთოდი თარგმანში	17
რეპეტაფორიზაცია.....	17
საგაზეთო-ინფორმაციული თარგმანი	17
საგაზეთო ტექსტის თარგმნა	17
საზოგადოებრივ-პოლიტიკური თარგმანი.....	17
სათარგმნი ენა	18
სრულფასოვანი თარგმანი	18
სტილთა ინტერფერენცია	18
სამეტყველო თარგმანი	18
სამეტყველო აქტთა კატეგორია	18
სამეტყველო კომუნიკაციის აქტი	18
სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანი	19

სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტის თარგმნა..... 19
სამხედრო თარგმანი 19
მანქანური თარგმანი ანუ ავტომატური თარგმანი..... 19



Delta Translation Group

www.delta-group.ge, www.iword.ge





ენა

- საზოგადოებაში ბუნებრივად არსებული საკომუნიკაციო სისტემა
- მოწესრიგებული ერთობლიობა ან სხვადასხვა აზრის მქონე ერთეულის ენობრივ-აზრობრივი სისტემა - ენობრივი ნიშნების აზრი
- შესატყვისობის სისტემა. შეტყობინებასა და რეალობას შორის არსებული შესატყვისობების სისტემა: პოტენცია, კატეგორიები
- აზრთა სიტყვიერი გამოთქმის სისტემა, რომელიც აღჭურვილია განსაზღვრული ბგერითი თუ გრამატიკული წყობით. ხალხთა შორის ურთიერთობის ქმედითი საშუალება.
- მეტყველების ნაირსახეობა, რომელიც შეიცავს სხვადასხვა დამახასიათებელ ნიშანს (სტილს)
- უსიტყვო ურთიერთობათა საშუალება.
- ცოდნის მიღების საშუალება. ენის დამხარებით ჩვენ გადავცეთ ხალხს იმას, რაც მათ არ იციან, აგრეთვე იმას, რაც ჩვენ არ ვიცით და გვსურს გავიგოთ. ენის დამხარებით ჩვენ ვიგებთ სხვადასხვა აზრებს.
- ისტორიულად ჩამოყალიბებული მატერიალური ნიშნების სოციალური სტრუქტურა, რომელიც ასრულებს კომუნიკაციურ ფუნქციას.
- ადამიანთა საზოგადოებაში სტიქიურად წარმოქმნილი და განვითარებადი ბგერითი ნიშნების დისკრეტული სისტემა, რომელის ემსახურება კომუნიკაციას და შეუძლია გამოსცეს ცოდნისა და სამყაროზე არსებული წარმოდგენების ერთობლიობა

ენა-შუამავალი

შუალედური ენა ორიგინალსა და საბოლოო თარგმანს შორის, ანუ იმ თარგმანის ენა, საიდანაც სრულდება ახალი თარგმანი

ენათშორისი თარგმანი

- ერთი ენიდან მეორეზე თარგმნა, ორენოვან სიტუაციაში თარგმნა.
- ენათშორისი თარგმანი განისაზღვრება როგორც ერთი ენის ელემენტების მეორე ენის ელემენტებით შეცვლა.
- საკუთრივ თარგმანი - ვერბალური ნიშნების ინტერპრეტაცია რომელიმე სხვა ენაზე.

ენათშორისი კომუნიკაცია

ორჯერადი აქტი, რომელშიც მონაწილეობს ორი პროდუცენტი, ორი ტექსტი და ორი რეცეპტორი, რომელთაგან ერთ-ერთი - მთარგმნელია. ერთდროულად ორი ფუნქციითაა წარმოდგენილი - როგორც პირველადი შეტყობინების მიმღები და მეორადი შეტყობინების გამგზავნი. ენათშორისი კომუნიკაციაში მთელი სიცხადით ვლინდება არა მართო ენის კომუნიკაციური ფუნქცია, არამედ ენობრივ ნიშნებთან კომუნიკანტთა განსხვავებული დამოკიდებულების განმაპირობებელი გარეგნობრივი, სოციალური, კულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორები, რაც ენისა და საზოგადოების კავშირზე დაკვირვებისათვის ძალზე მდიდარ მასალას იძლევა. ე.კ. არის საშუალება, რომელიც ცივილიზაციის სხვა კომპონენტებთან ერთად (მეცნიერება, ტექნიკა, ხელოვნება, ლიტერატურა), ხელს უწყობს გლობალური ინტეგრაციის პროცესს.



ენათშორისი სინონიმია

კანონზომიერი შესაბამისობები დაპირისპირებულ ენათა სისტემებში, რაც ფაქტობრივად ენათშორის ეკვივალენტობას ნიშნავს. სინონიმიაში ყოველთვის არის ეკვივალენტობის ელემენტები და პირიქით.

ადეკვატური თარგმანი

თარგმანი, რომელიც მაქსიმალურად სრულად შეესაბამება ორიგინალს. ძირითადად იგულისხმება: აზრისა და შინაარსის სიზუსტე, სტილის მაქსიმალური მიახლოება, ავტორისეული ენის თავისებურებათა შენარჩუნება მთარგმნელის ენის გამომსახველობით შესაძლებლობათა სრული გამოყენება

ადეკვატური შენაცვლება

ერთ-ერთი კანონზომიერი შესაბამისობა, როდესაც მთარგმნელი იძულებულია, აზრის ზუსტად გადმოცემისათვის, სიტყობრივი შესაბამისობის არსებობის შემთხვევაში, ნაწილობრივ დაშორდეს დედანს და გამოსავალი საკუთარი მხატვრული გადაწყვეტით იპოვოს. მხოლოდ ორიგინალის ავტორის აბსოლუტური ორენოვნების შემთხვევაში შეიძლება საუბარი თარგმანზე, როგორც შემოქმედებით აქტზე, რომელიც თავისი ბუნებით ორიგინალური ნაწარმოების შექმნის ტოლფასია.

ავტორის უფლება

ლიტერატურული, მუსიკალური ან მხატვრული ნაწარმოების შინაარსისა და ფორმის ასახვის, პუბლიკაციისა და გაყიდვის განსაკუთრებული უფლება (მთარგმნელობითი საქმიანობის ჩათვლით)

ამოსავალი ტექსტი

ტექსტი, რომელიც უნდა ითარგმნოს, ანუ რომლის მიხედვითაც უნდა შესრულდეს თარგმანი

ანალოგია თარგმანი

ე.წ. „უთარგმნელი“ მასალის (სიტყვის, შესიტყვების, იდიომის) თარგმნა ისეთი ეკვივალენტით, რომლის გამართლებაც შეიძლება უკვე არსებული პრეცედენტით

ანტონიმური თარგმანი

თარგმანი, სადაც დედანში გამოხატული ცნება თარგმანში საპირისპირო ცნებით (ანტონიმით) იცვლება, თუმცა შინაარსობრივად ფრაზა ინარჩუნებს თვითმყოფადობას)

არაკვივალენტური კონსტრუქციები

კონსტრუქციები არაკვივალენტური შეიძლება იყოს როგორც სხვა ენაში ანალოგიური სინტაქსური ფორმის არარსებობის შემთხვევაში, ასევე წინადადების ლოგიკური სტრუქტურის არატოლფასოვნების გამო

არასრული თარგმნადობა

საწყის ტექსტში უთარგმნელი მონაკვეთების არსებობა, რაც დაკავშირებულია ამა თუ იმ ენის მატარებელთა შორის ინდივიდუალური, სოციალური თუ სხვა ხასიათის განსხვავებებთან.

დამოუკიდებელი თარგმანი

1) თარგმანი, რომელშიც გამოყენებული არ არის ადრე შესრულებული თარგმანის გამოცდილება, ან ვისიმე კონსულტაცია თუ რჩევა. 2) თარგმანი, რომელიც შესრულებულია არა მთარგმნელთა ჯგუფის, არამედ ერთი დამოუკიდებელი მთარგმნელის მიერ.

დოკუმენტების (საქმიანი, კომერციული, დიპლომატიური) თარგმანი

ზედმიწვევითი სიახლოვე არა მხოლოდ აზრთან, არამედ ორიგინალის ფორმასთან

დოკუმენტური თარგმანი

დოკუმენტური ხასიათის ტექსტების თარგმნა

დომინანტური ენა

მშობლიური ენა

ექსპრესიული ლექსიკის თარგმნა

ემოციურად დატვირთული ლექსიკის (ტექსტის) ერთი ენიდან მეორეზე გადატანა, რომლის დროსაც გასათვალისწინებელია ის დამატებითი დადებითი ან უარყოფითი აზრობრივი და ემოციური შეფერილობა, რაც ყოველთვის თან ახლავს ექსპრესიული დატვირთვის მქონე ტექსტს.

ზეთარგმანი

ენობრივი შუამავლობის სახეობა, რომლის პროდუქტი შეიძლება წარმოვაჩინოთ როგორც ტრანსლირებული მასალის ერთგვარი დამატებითი პრაგმატული გადამუშავებით მიღებული თარგმანი, შესრულებული ადრესატის სპეციფიკური მოთხოვნილებების შესაბამისად

ზეპირად თარგმნა

თარგმნა მეტყველების ფორმით; მრავალი სახეობა არსებობს (იმპროვიზებული, მომზადებული, ფურცლიდან, თანმიმდევრული, სინქრონული და სხვ.) თუმცა დღეს ყველაზე გავრცელებული მათ შორის სინქრონული თარგმანია (იხ. სინქრონული თარგმანი)

ზეპირი-ზეპირი თარგმანი

სინქრონული თარგმნის სახეობა. თარგმანი, რომელიც არ ფიქსირდება წერილობით.

ზეპირი თარგმნის თეორია

თარგმნის თეორიის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც განიხილავს ზეპირი (სიტყვიერი) თარგმანის ფორმებსა და თავისებურებებს. ესენია: იმპროვიზებული, მომზადებული, ფურცლიდან, თანმიმდევრული, სინქრონული და სხვ.

ზეპირი-წერილობითი თარგმანი

თანმიმდევრული და სინქრონული თარგმანის ერთ-ერთი სახეობა, რომლის შესრულების დროსაც ხდება ინფორმაციის დაფიქსირება წერილობით ზეპირად თარგმნის პროცესში.

ზოგადი ორენოვანი ლექსიკონი

ლექსიკონი, რომელიც შეიცავს გარკვეული თანამიმდევრობით (ჩვეულებრივ- ანბანური) ჩამოთვლილი სიტყვების რიგს თარგმანითურთ ას განმარტებით სხვა ენაზე (შესაძლებელი ეკვივალენტებით განსაზღვრულ კონტექსტში)



ზუსტი თარგმანი

თარგმანი, რომელიც სრულად და ყოველმხრივ შეესაბამება დედანს, ინარჩუნებს მისი ფორმისა და შინაარსის თავისებურებებს საკუთარი ენობრივი საშუალებების გამოყენებით (ცნება უფრო თეორიულია, ვიდრე პრაქტიკული).

თანამედროვე თარგმანმცოდნეობის პრობლემები

სხვადასხვა ეპოქაში თარგმანის მეცნიერების წინაშე ეპოქის მაჯისცემის შესაბამისი პრობლემები იდგა. ეს იყო ძირითადად პაექრობა თარგმანის თეორიის ძირეული საკითხების გარშემო (უთარგმნელობა, თარგმნის ერთეული, თარგმნის მიკუთვნება რომელიმე კერძო თეორიისადმი, თარგმნის შესრულების ძირითადი კრიტერიუმები და მრავალი სხვა)

თ.თ-ის წინაშე დგას პრაქტიკულად სრულიად განსხვავებული ხასიათის პრობლემები რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული პოლიტიკურ-ეკონომიკურ კერებთან მთელ მსოფლიოში. მსოფლიო ინტეგრაციის გარდაუვალ პროცესთან, როგორც ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ასევე ნებისმიერ სხვა დარგში. ამიტომ თარგმანი სულ უფრო ღრმად იჭრება ყველა სფეროში, როგორც კომუნიკაციის თანამედროვე საუკეთესო საშუალება. დრომ მოიტანა მხატვრული ლიტერატურისადმი ინტერესის შედარებით განელება და წინა პლანზე ტექნიკური ლიტერატურისადმი გაცხოველებული ინტერესი გაჩნდა. ახალ სფეროებთან ზიარება (ნავთობპროდუქტების მოპოვება, წარმოება ტრანსპორტირება, გარემოსმცოდნეობა და ეკოლოგია, თანამედროვე ტელეკომუნიკაციები და სხვ.) ქმნის ახალი საგნობრივი ლექსიკონების არსებობის, სხვადასხვა უცხო ენაზე შემოსული ჟურნალებისა თუ ანოტაციების თარგმნის ორენოვანი კონტრაქტებისა თუ წესდებების შედგენის აუცილებლობას, რასაც სპეციალური ცოდნა და უნარ-ცვევები ესაჭიროება.

თანამიმდევრობითი თარგმანი

ზოგიერთი მკვლევარი ასე უწოდებს სინქრონულ თარგმანს, რომელიც მიიღება მომხსენებლის გამოსვლის პარალელურად ნაწყვეტ მოსმენილი ან ჩაწერილი ტექსტის თანამიმდევრობით თარგმნის შედეგად. განასხვავებენ ე.წ წერილობით და ფრაზეულ-აბზაცურ, აგრეთვე ცალმხრივ (სრულდება მხოლოდ ერთი მიმართულებით- საწყისი თარგმნის ენაზე) და ორმხრივ თარგმანს.

თარგმანი

ერთი ენით გამოხატული მნიშვნელობის მეორე ენით გადმოცემა. ენათშორისი კომუნიკაციის აქტი, სადაც არის სწორედ ის პირველადი სისტემა, რომელიც თარგმნის პროცესის მოდულირების საშუალებას იძლევა

თ. არა მხოლოდ ენათშორისი, არამედ კულტურათშორისი კომუნიკაციის საშუალებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტექსტის ტრანსპორტირება ხდება არა მარტო მეორე ენის სისტემაში, არამედ მეორე კულტურის სისტემაში

თ. არის განსხვავებულ ენაზე მოლაპარაკე და განსხვავებული სოციალურ-კულტურული გამოცდილების მქონე ადამიანთა შორის ვერბალური კომუნიკაციის დამყარების საშუალება.

თარგმანის ემოციურ-ფსიქოლოგიური ასპექტი

მკითხველი მთარგმნელისგან არა მხოლოდ სიზუსტეს და ყოველმხრივ ადეკვატური თარგმანის შესრულებას მოითხოვს, არამედ ემოციური და ლოგიკური ასპექტების სწორად გადანაწილებას, ორიგინალის ფსიქოლოგიური დეტალების შენარჩუნებასა და გადმოცემას თარგმანში. წინააღმდეგ შემთხვევაში ნაწარმოები ვერ შეინარჩუნებს თავის თვითმყოფადობასა და ძირითად აქცენტებს. აქ უდიდესი მნიშვნელობა მთარგმნელის ერუდიციასა და მაღალპროფესიულ მომზადებას ენიჭება, რაც თავისთავად, მთარგმნელის, როგორც შემოქმედის, ფსიქოლოგიურ განწყობაზეცაა დამოკიდებული.




მთარგმნელის ფსიქოლოგიური მომზადება ის ძალაა, რომელიც თარგმნის პროცესში ქვეშეცნეულად მოქმედებს მთარგმნელზე და მის ყველა ქმედებას დედნის მიმართ თარგმნის მხატვრული შესაბამისობის მთავარ მიზანს უქვემდებარებს.

თარგმნის ენა

1. ენა, რომელზედაც სრულდება თარგმანი
2. იგივე, რაც სათარგმნი დედნის ენა
3. გადმოგვცემს წყარო-ენის იმ მნიშვნელოვან ელემენტებს, რომლებიც მასში არ მოიპოვება, შევსება ხდება: კალკით, ნასესხები სიტყვებით, ნეოლოგიზმებით, სემანტიკური ძვრებით და აღწერით.

თარგმანის ნიშნობრივი სახეობა

თარგმანის მეცნიერებაში არსებული ობიექტური კანონზომიერება, რომელიც გამოიყენება უშუალოდ სინქრონულ თარგმანში (იხ. სინქრონული თარგმანი) და გულისხმობს სათარგმნი მასალის ნიშნების ჩაწერას

- მაგ:  უფროსი, ხელმძღვანელი
 დელეგატი
 მიმდინარე პროცესი

↳ მომავალი, პერსპექტივა, ხვალ

← წარსული, დრო, ისტორია, გუშინ.

- - დროის გარკვეული პერიოდი

◀ - მოქმედების დასაწყისი

▶ - მოქმედების დასასრული.

თარგმანის ნიშნობრივი ხერხი

ერთი ენიდან მეორე ენაზე გადასვლის ერთ-ერთი ობიექტურად არსებული კანონზომიერება, რომელიც გამოიხატება მთარგმნელობით ოპერაციებში ფორმალურ-ნიშნობრივ დონეზე. გამოიყენება უპირატესად, სინქრონურლად თარგმანში.

თარგმნის პრაგმატიკა

სისტემა, რომელიც არეგულირებს ერთი ენის კოდებში გამოხატული შეტყობინების მეორე ენაზე კოდიფიცირების პროცესს, ამყარებს წონასწორობას საწყისი და მეორადი შეტყობინების კომუნიკაციურ ეფექტთა შორის და რაც მთავრია წარმართავს თარგმნის ტექსტის შინაგანი მოდიფიკაციის პროცესებს.

თარგმნის პრაგმატული ასპექტი

თარგმნის პრაგმატული ასპექტი ითვალისწინებს თარგმნის შედეგების ორიენტირებას: 1. ადრესატზე, თარგმნის მიმღებზე 2. ითვალისწინებს თარგმნისა და დედნის მიერ მოხდენილი ეფექტის ურთიერთ შესაბამისობას.

თარგმნის შედეგების შეფასება

შეფასების საფუძველი შეიძლება იყოს ფუნქციონალური ან დინამიკური ეკვივალენტობის პრინციპი. იგი იმგვარად ახასიათებს თარგმანს, რომ ყველა არსებითი ნიშნით მიმღების ენაზე საბოლოო ინფორმაციის შინაარსი უნდა შეესაბამებოდეს ამოსავალი ინფორმაციის შინაარსს. ამასთან ერთად, მხედველობაში მიიღება ყველა იმ ინფორმაციის აღქმა, რომლებსაც შეიცავს შეტყობინების ტექსტი როგორც სემანტიკური, ისე ექსპრესიულ-სტილისტური თავლსაზრისით.

თარგმნის ხელოვნება

შემოქმედებითი პროცესი, როდესაც ხდება ორიგინალში არსებული რეალობის მხატვრულ-ესთეტიკური და ლიტერატურულ-სტილისტური ხერხებით გადმოცემა, პროცესის განხორციელების უნარი.

თარგმნის ხერხი

ერთ-ერთი ძირითადი კატეგორია მეცნიერებისა თარგმნის შესახებ. იგი განისაზღვრება როგორც მთარგმნელობით მოღვაწეობაში ობიექტურად არსებული ერთი ენიდან მეორეზე გადასვლის კანონზომიერება. ცნობილია თარგმანის ორი ხერხი: ნიშნობრივი და აზრობრივი

თარგმნა

პროცესი, აქტი, რომლის საბოლოო შედეგს, პროდუქტს თარგმანი წარმოადგენს.

თარგმნა კომპიუტერის დახმარებით

კომპიუტერში შეტანილი ტექსტის სხვა ენაზე თარგმნის ერთ-ერთი თანამედროვე ხერხი. ტექნიკის ბოლო მიღწევად ამ სფეროში შეიძლება ჩაითვალოს პროგრამა-კორექტორი, ეს პროგრამები მაქსიმალურად ზუსტ თარგმანს სთავაზობს მომხმარებელს (მაგ: Euro Word), თუმცა მათ აკლიათ ერთი ძირითადი თვისება - შემოქმედებითი მიდგომა თარგმანისადმი. ამგვარად, მხატვრულ ლიტერატურის თარგმნისას, ძირითადად, არაკომპიუტერული ლექსიკონები გამოიყენება, დანარჩენს კი შემოქმედი მთარგმნელი ახორციელებს.

თარგმნადობა

პირობითი ცნება, რომელიც მოცემული ტექსტის (სიტყვის, გამოთქმის) სხვა ენაზე გადაცემის შესაძლებლობის დონეს მიანიშნებს. ფაქტობრივად, ნებისმიერი ტექსტი თარგმნადია კონტექსტუალურ დონეზე, თუმცა შეიძლება ტექსტში იყოს ისეთი ელემენტები, რომლებსაც თარგმანის ენაში პირდაპირი ეკვივალენტები არ მოეძებნება.

თარგმნის ერთეული

სათარგმნი ტექსტის მონაკვეთი, რომელიც აზრობრივად ან ენობრივად ერთ მთლიანობად არის შეკრული, ამიტომ ასევე მთლიან ერთეულად უნდა ითარგმნოს მისი ყველა კომპონენტის გათვალისწინებით.

კალკირება

მთარგმნელობითი ხერხი, რომელიც მდგომარეობს უეკვივალენტო სიტყვის ან შესიტყვების შემადგენელი ნაწილების (მორფემების) შენაცვლებაში მათი სიტყვასიტყვითი შესაბამისობებით.

კინო/ვიდეო მასალის თარგმნა

შეიცავს სინქრონული, თანამიმდევრობითი და წერილობითი თარგმანის ნიშნებს და დამოკიდებულია სამუშაოს მიზანსა და ხასიათზე (აუდიტორიისათვის თარგმნა, დუბლირება, გახმოვანება და ა.შ)

სინქრონული თარგმანი (ბერძნ. syn - ერთად, chronos - დრო)

ზეპირი თარგმანის ერთ-ერთი სახეობა, დამყარებული მეტყველების ალქმის პარალელურობაზე საწყის ენაში და მეტყველების ასახვაზე თარგმანის ენაში, სხვადასხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით

სინქრონულად თარგმნა

სინქრონული თარგმანის შესრულების პროცესი (იხ. სინქრონული თარგმანი)

სიტყვასიტყვით თარგმნა (გადმოცემა)

თარგმნის მეთოდი, რომელიც დედნის კონსტრუქციის სხვა ენაში უცვლელად გადმოტანას გულისხმობს, რასაც ხშირად ორიგინალის შინაარსი ეწირება, თუმცა კი ფორმა შენარჩუნებულია. ამ დროს არ ხდება ორ ენას, თუ ორ ენობრივ სისტემას შორის არსებულ სხვადასხვაობათა გათვალისწინება. სიტყვასიტყვით თარგმანი, სათარგმნი ტექსტის აზრის სწორი გადაცემის შემთხვევაში, მიისწრაფის მაქსიმალურად ახლო სინტაქსურ კონსტრუქციის გადაცემისკენ და ორიგინალის ლექსიკური შემადგენლობისკენ. იმ შემთხვევაში, როდესაც სათარგმნი წინადადების სინტაქსური სტრუქტურა შეიძლება იყოს რთული ქვეწყობის და თარგმანში გადმოცემულია ანალოგიურ ხერხებით, სიტყვასიტყვით თარგმანი შეიძლება განიხილოს როგორც თარგმანის საბოლოო ვარიანტი შემდგომი ლიტერატურული დამუშავების გარეშე. თუმცა ორ ენაში სინტაქსური ხერხების ასეთი დამთხვევა გვხვდება შედარებით იშვიათად, უფრო ხშირად სიტყვასიტყვით თარგმანისას ჩნდება თარგმანის ენის სინტაქსური ნორმების ესა თუ ის დარღვევები. მიუხედავად იმისა, რომ სიტყვასიტყვით თარგმანი ხშირად არღვევს ენის სინტაქსურ ნორმებს, იგი შეიძლება იყოს გამოყენებული ტექსტის სწრაფ, „შავად“ თარგმანისათვის.

„მთარგმნელთა ქარტია“

1963 წ. დაფუძნებული მთარგმნელების საერთაშორისო ფედერაცია. „ქარტია“ აყენებდა შემდეგ მოთხოვნებს: ყველა თარგმანი უნდა იყოს სწორი, ზუსტად გადმოსცემდეს ორიგინალის აზრსა და ფორმას; თარგმანის ასეთი სისწორე არის მთარგმნელის იურიდიული და მორალური ვალდებულება. თარგმანის სიზუსტე არ უნდა აგვერიოს იდეალურ თარგმანში რამდენადაც თარგმანის სიზუსტე არ გამოირიცხავს აუცილებელ ცვლილებებს, რომელთა მიზანია, სხვა ენაზე შენარჩუნდეს ფორმა, ატმოსფერო და ნაწარმოების შინაგანი არსი. მთარგმნელი აუცილებლად უნდა ფლობდეს ორივე ენას, წესების სისტემას, რომლითაც განისაზღვრება ამა თუ იმ ეროვნული ლიტერატურის ლექსთწყობა.

მთარგმნელი

1. ერთი ენიდან მეორე ენაზე თარგმნის სპეციალისტი. 2. ორენოვანი კომუნიკაციური აქტის მონაწილე, რომელიც გამოდის როგორც ამოსავალი ტექსტის მიმღები, ასევე თარგმნილი ტექსტის გამგზავნი. 3. კომუნიკაციუმში დამატებითი გარდამქმნელი, რომლის აუცილებლობა საჭიროა იმ შემთხვევაში, როდესაც კოდები, რომლებითაც სარგებლობენ წყარო და ადრესატი, არ ემთხვევიან ერთმანეთს. 4. გარკვეულწილად ეს ლინგვო ქვეყანათმცოდნეა, რადგან ერთი კულტურის მატარებელს აქვს ცოდნა სხვა კულტურის, სათარგმნი ენის კულტურის შესახებ.

მთარგმნელის ამოცანა

მთლიანად და მაქსიმალურად ზუსტად გადმოგცეს დედნის შინაარსი და შეინარჩუნოს ორიგინალის ტექსტში აქტივირებული ექსპრესიული ლექსიკა თარგმნის ენის ტიპიზებული სტილისტური ხერხების ან ოკაზიური გამომსახველობითი საშუალებების გამოყენებით

მთარგმნელის ანალიტიკურ-ინტეგრაციული საქმიანობა

ანალიტიკურია იმ გაგებით, რომ თარგმანი შეუძლებელია ორიგინალის შინაარსის ანალიზის გარეშე (ინფორმაციული ორიენტაცია) და ინტეგრაციულია იმ გაგებით, რომ თარგმანი გულისხმობს ინფორმაციას არა მხოლოდ დანაწევრებას, არამედ მის ინტეგრირებას საქმიანობის უფრო ფართო სფეროში.

მთარგმნელის ცრუ მეგობრები

1. სიტყვა (ან გამოთქმა), რომელიც მთლიანად ან ნაწილობრივ ემთხვევა უცხო ენის ხმოვან ან გრაფიკულ ფორმას, მაგრამ აქვს სხვა მნიშვნელობა. 2. შესადაარებელი ენების სემანტიკურად განსხვავებული, მაგრამ გარეგნული ფორმით მსგავსი ლექსიკური ერთეულები. 3. ნაცნობი გრაფიკული ფორმა სიტყვისა შეიძლება გადეს ბუკვალიზმის მიზეზი, ანუ სიტყვის თარგმანი

შეიძლება არ შეესაბამებოდეს ან ნაწილობრივ შეესაბამებოდეს ორიგინალს. ასეთმა სიტყვებმა და ტერმინებმა შეიძინეს სახელწოდება: „მთარგმნელის ცრუ მეგობრები“ 4. მართალია, სახელწოდება „მთარგმნელის ცრუ მეგობრები“ საკმაოდ გრძელია და თავისუფალი, რათა გახდეს ტერმინი, მაგრამ იგი მაინც გამოიყენება. როგორც ჩანს, ამ შესიტყვებას ჯერ არ გამოუჩნდა უფრო მოკლე და ზუსტი ეკვივალენტი.

მიკროლინგვისტიკა

ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს კავშირებს, ურთიერთობებსა და დაპირისპირებებს ენობრივი სისტემის შიგნით.

„მიმართვის“ ტიპის ტექსტი და მისი თარგმნის ნორმები

ტექსტის ისეთი ფუნქციონალური ტიპი, რომელშიც, გარკვეულწილად, აისახება შეტყობინების ადრესატის ფაქტობრივი და, ასევე, თარგმანის ტექსტის რეალიზაციის ტექნიკური პირობებიც. ადრესატზე იდეოლოგიური, პოლიტიკური და სხვა ზემოქმედების ეფექტურობისათვის საჭიროა მხედველობაში იქნეს მიღებული ადრესატის ეთნოფსიქოლოგიური თავისებურებები. მისი დამოკიდებულება გარე სამყაროსთან, რაც შესაძლოა, ბევრად განსხვავდებოდეს ორიგინალის ადრესატის დამოკიდებულებებისაგან.

წკარედი

სიტყვასიტყვითი თარგმანი; ორიგინალის ყოველი სიტყვის ზუსტი ეკვივალენტის ან ეკვივალენტების დაფიქსირება. პწკარედი სრულდება მთარგმნელისათვის, რომელმაც არ იცის, ან არასრულყოფილად ფლობს ორიგინალის ენას. პწკარედი არ ითვალისწინებს ორიგინალის კონტექსტუალური თუ სტილისტური თავისებურებების გადმოცემას.

რემის თარგმნა

თარგმნის დროს მნიშვნელოვნად გამოვლენილი წინადადების აზრობრივი ცენტრი („რემა“). რომელიც შეიცავს გამოთქმის ბირთვის-იმ შემეცნებითად ახალს, რისი მატარებელიცაა წინადადება. არსებობს რემის გამოყოფის სხვადასხვა საშუალება. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია სიტყვათა წყობა (სიტყვები, რომლებიც აზრობრივ ცენტრს გამოხატავენ). ლოგიკური გამოხატვის სხვა საშუალებებს ლოგიკური მახვილი და ნაწილაკები წარმოადგენს. თარგმნაში მონაწილე ენათა თავისებურებებიდან გამომდინარე, ხდება რემის გადაადგილება.

რეფერირება

ენობრივი შუამავლობის ერთ-ერთი სახეობათაგანი, რომლის დროსაც მაქსიმალურად მცირდება პირველადი ტექსტის მოცულობა მისი შინაარსის მნიშვნელოვანი ელემენტების შენარჩუნებით

რთული შენაცვლება მნიშვნელობის დიფერენციაციით

მთარგმნელობითი ხერხი, დაფუძნებული დედნისა და თარგმანის ენების ლექსიკური ერთეულების სისტემურ შესაბამისობათა ერთ-ერთ ტიპზე, როცა დედნის ენის ერთეულის მნიშვნელობა გადაიკვეთება თარგმანის ენის რამდენიმე ერთეულის მნიშვნელობასთან.

რეალისური მეთოდი თარგმანში

მთარგმნელის მიერ უცხო ლიტერატურულ ნაწარმოების მართლად, რეალურად აღქმა და თარგმანი მისი ასევე სრულად ასახვა.

რეპეტაფორიზაცია

თარგმანში ისეთი მეტაფორის შექმნა, რომელიც ლექსიკურად და სინტაქსურად განსხვავდება, მაგრამ ფუნქციურად კარგად იმეორებს დედანში არსებული მეტაფორის აზრობრივად ემოციურ დატვირთვას.

საგაზეთო-ინფორმაციული თარგმანი

საგაზეთო-ინფორმაციული ტექსტების თარგმანი; სპეციალური თარგმანის ერთ-ერთი ჟანრი

საგაზეთო ტექსტის თარგმნა

თარგმნა, განხორციელებული ორიგინალისადმი ერთგულების პრინციპით ისე, რომ არ დაირღვეს პრაქტიკაში დამკვიდრებული საგაზეთო-პოლიტიკური კლიშე (მიღებული ტერმინოლოგიითა და „გრამატიკული შესატყვისობებით“). ამ მოთხოვნათა საზღვრებში საგაზეთო ტექსტის თარგმანი ზედმიწევნით უნდა შეესაბამებოდეს ორიგინალს. ამასთან ერთად, საგაზეთო ტექსტის თარგმნისას უნიშვნელოვანესია შინაარსის გადმოცემა. ამიტომ ყოველთვის აუცილებელი არაა, საგაზეთო მასალის თარგმნისას შენარჩუნდეს მეტაფორულობა, ან სხვა რამე ლიტერატურული ხერხი.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თარგმანი

თარგმანის სახეობაა, სადაც ინფორმაციულ-პროპაგანდისტული ტექსტები ენაცვლება სამეცნიერო ტექსტებს და ამიტომ წაშლილი სემასიოლოგიური კავშირები მეზობლობენ

ფიქსირებულ სემასიოლოგიურ კავშირებთან. ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ-პოლიტიკური ლიტერატურის თარგმნის დროს საჭიროა, უპირველესად, შესაბამისი პოლიტიკური განათლება, მეორე მხრივ კი, ენათშორისი ეკვივალენტების სწრაფად მოძიების უნარი

სათარგმნი ენა

ამოსვლი ენა, დედანი ენა, ორიგინალის ენა, რომლიდანაც ხდება სხვა ენაზე თარგმნა.

სრულფასოვანი თარგმანი

თარგმანი, რომელიც დედნის აზრობრივ შინაარსს ამომწურავად გადმოსცემს და მის სრულყოფილ ფუნქციურ-სტილისტურ შესაბამისობას წარმოადგენს

სტილთა ინტერფერენცია

განსხვავებული სტილისტური ხერხების შეგნებული ან შემთხვევითი შერევა. ამ ხერხს ხშირად იყენებენ კომიკური ეფექტის შესაქმნელად. თარგმანში ს.ი. აუცილებლად პოვებს გამოხმაურებას.

სამეტყველო თარგმანი

თარგმანი, რომელშიც არ არის შენარჩუნებული სრული ინფორმაცია, არამედ მხოლოდ ის რომელიც ადრესატისთვისაა განკუთვნილი

სამეტყველო აქტთა კატეგორია

გამოთქმათა ისეთი სახეობები, როგორიცაა : ბრძანება, თხოვნა, მოთხოვნა, ნებართვის მიცემა, დაპირება, დათანხმება, შედავება, რჩევა, მუქარა და ასევე, ქცევის ეტიკეტთან დაკავშირებული რიტუალური ფორმულები, ანუ ყოველივე ის, რაც სხვადასხვა ენობრივი კოლექტივის ხმარებაში, განსხვავებულია ეთნოფსიქოლოგიური და სოციალური ფონის გამო და შეუძლებელია არ ავლენდეს ენობრივი გამოხატვის არასტანდარტულ ფორმებს.

სამეტყველო კომუნიკაციის აქტი

წარმოადგენს სოციალური ტიპის სისტემას, რადგანაც კომუნიკაცია ხორციელდება საზოგადოებაში, ადამიანების მიერ, ისახავს სოციალური ხასიათის მიზნებს და იყენებს ენობრივი სისტემების სოციალურად მნიშვნელოვან საშუალებებს.

სამეცნიერო ლიტერატურის თარგმანი

თარგმანი, რომელიც უნდა შეესატყვისებოდეს მოცემული ენის ნორმებს. სწორად თარგმნისთვის აუცილებელია იმის გაგება, თუ რას გულისხმობს კონტექსტი. ახალი უცხოენოვანი ტერმინი მოითხოვს მოცემული სიტყვის სწორ გამოფერას. ლოგიკურ-ლინგვისტური ანალიზის გზით, ამ სიტყვის კავშირს კონტექსტიდან და ზუსტი შესიტყვების მოძებნას. ვარიანტის ზუსტად შერჩევა აუცილებელია იმ შემთხვევაში, როცა მშობლიურ ენაში არსებობს უცხოური ტერმინების შესაბამისი სიტყვა და ნასესხები სიტყვა. თარგმანისას ფრაზების აგების მიზანია გადმოსცეს აზრი ზუსტად და მკაფიოდ. ამიტომ მთლიანად აზრი არ დაზარალდება წინადადების ნაწილებად დაყოფით, ნაწილების გადაადგილებით, ნაწილების ერთ მთლიანობად ქცევით.

სამეცნიერო-ტექნიკური ტექსტის თარგმანა

სხვადასხვა შინაარსის მქონე ტერმინოლოგიური ლექსიკონით დატვირთული ტექსტის სხვა ენაზე გადმოცემა. იმ შემთხვევაში, თუ საქმე გვაქვს ლათინურენოვან ტერმინოლოგიასთან, ის , როგორც წესი, უცვლელად გადმოდის თარგმანში, ხოლო სხვა წარმოშობის ტერმინის შემთხვევაში იგი ითარგმნება სათარგმნ ენაზე მოძიებული შესაბამისი ტერმინით.

სამხედრო თარგმანი

ოპერატიული დანიშნულების სპეციალური თარგმანის ტიპი, რომლის ობიექტსაც სამხედრო მასალები წარმოადგენს.

ს.თ. დატვირთულია ტერმინებით და ნაკლებად პრეციოზული სიტყვებით, ანუ ტექსტის ერთეულებით, რომლებიც საკვანძო ინფორმაციას ატარებენ. კონკრეტულად ამცირებს სამხედრო ტექსტების დატვირთვას და ერთდროულად ამნელებს ამ ტექსტების სრულად აღქმას შემდგომი თარგმანისათვის.

მანქანური თარგმანი ანუ ავტომატური თარგმანი

თარგმანი, შესრულებული კოდური სისტემის მეშვეობით და ე.წ. მეტაენის გამოყენებით. მანქანური თარგმანისათვის საჭირო კოდური სისტემების ვარიანტულობის მიუხედავად, მისი შესაძლებლობები შედარებით შეზღუდულია.

Delta Translation Group

www.delta-group.ge, www.iword.ge



Delta Translation Group

www.iword.ge

LLC Delta Development Group

Delta Translation Group

www.iword.ge

LLC Delta Development Group



(+995) 558 902 872

www.delta-group.ge

www.iword.ge

info@delta-group.ge

 [Linked in](#) /Delta Translation Group